რომანტიზმი

მოამზადა მაია ინასარიძემ

“ადამიანის აზრს სურს მისწვდეს ვარსკვლავიან ცას, მისი სულის ძალები ნაღვლიანი ნატვრით იზიდებიან უსასრულო შორეთისაკენ. მაგრამ ადამიანის გონი ხვდება, რომ მთელი სისავსით ვერასდროს მოიხელთებს უსასრულობას და, გაურკვევლობით დაღლილი, თავის სწრაფვას მიწიერ სურათებს უკავშირებს. ეს სურათები მიანიშნებს იმ დიდ საიდუმლოზე, რომლისკენაც ცნობიერად თუ გაუცნობიერებლად მუდამ მიილტვის ჩვენი სული. უსასრულობის ეს წინათგრძნობა, აღძრული რეალურად ხილულის თუ წარმოსახულის მიერ, არის კიდეც რომანტიზმი.”

ლუდვიგ ულანდი (გერმანელი პოეტი და საზოგადო მოღვაწე 1787 -1862)

რა არის რომანტიზმი?

რომანტიზმი არის გლობალური და ერთიანი მიმდინარეობა, რომელმაც მე–18 საუკუნის ბოლოსა და მე–19 საუკუნის დასაწყისში ხელოვნების თითქმის ყველა დარგი მოიცვა, მათ შორის ფერწერაც. თავად სიტყვა “რომანტის” ჯერ კიდევ მე–17 საუკუნეში იხმარებოდა ინგლისში რაინდული რომანებისა და კელტური ლეგენდების აღსანიშნად – ეს თქმულებები გადმოსცემდნენ ამბებს ჯადოსნური სამყაროს, რაინდული სიყვარულის, მოსაუბრე ჩიტების, წყაროებისა თუ დატყვევებული პრინცესების შესახებ, რომელთაც ურჩხულისგან კეთილშობილი უფლისწულები იხსნიდნენ ხოლმე. უკვე აქ ჩანს რომანტიზმის, როგორც მიმდინარეობის, დამახასიათებელი ნიშნები – მისწრაფება იმ სამყაროსადმი, რომელიც არ ემორჩილება ბუნებრივ აუცილებლობათა ლოგიკურ კანონებს და იმართება გულით.

ტერმინ “რომანტიზმის” წარმოშობა დაკავშირებულია სიტყვასთან რომანცე. იგი აღნიშნავს ხალხურ ენებს, რომლებიც ძველ გერმანულ დიალექტებთან ლათინურის შერევისაგან წარმოიშვა. მაგრამ ეს მხოლოდ ამ ტერმინის წარმომავლობაზე მიუთითებს. სხვადასხვა დროს მასში წარმტაცის, უცნაურისა და ზღაპრულის შინაარსსაც დებდნენ. საბოლოოდ ამ ტერმინით გაერთიანდა ის ლიტერატურული მოძრაობა, რომელიც ფართოდ გავრცელდა XVIII საუკუნის დამლევიდან. ნავარაუდევი იყო, რომ ეს სახელწოდება, ასე თუ ისე, კარგად გამოხატავს აღნიშნული ახალი მიმართულების შინაარსს, რამდენადაც გულისხმობდნენ, რომ სხვადასხვა ძველი კულტურა ერთ მთლიანობას წარმოადგენდა, რომანტიზმი კი შეიცავს და აერთიანებს ადრე ერთიმეორისათვის უცხოდ მიჩნეულ კულტურათა ნაირნაირ ელემენტებს. “რომანტიკული პოეზიის” სახელწოდებით გერმანიაში, სადაც ეს ტერმინი პირველად იქნა შემოღებული, აღნიშნავდნენ ლიტერატურას, რომელიც საწყისს ტრუბადურთა პოეზიაში პოულობდა და რაინდობისა და ქრისტიანობის ნიადაგზე წარმოიშვა. (კახა კაციტაძე, კახა ჯამბურია)

რომანტიზმი, ჰეგელის მარჯვე გამოთქმით, შეიძლება დავახასიათოთ როგორც “უბედური ცნობიერება”, ანუ ის ცნობიერება, რომელსაც თავისი არსებობის მიზანი უსასრულობაში, გრძნობადი სამყაროს მიღმა ეგულვის და უწყის მისი მიუღწევლობა, მაგრამ, მეორე მხრივ, არ შეუძლია ამ მიუღწეველ მიზანს არ ესწრაფოს: “რაღაც უმაღლესი სიბრძნე გვასწავლის, რომ კაცობრიობამ დიდ შეცდომაში ჩავარდნის გამო სამშობლო დაკარგა. ამდენად, მისი მიწიერი ყოფნის დანიშნულება ისაა, რომ უკან უნდა ისწრაფოდეს, სადამდე მიღწევასაც თავის თავს მინდობილი ადამიანი ვერ ახერხებს... აქედან წარმოდგება მათი (ახალი დროის ხალხების) პოეზიის ლტოლვა იმ ორი სამყაროს - გრძნობადისა და ზეგრძნობადის - შეერთებისაკენ, რომელთა შორისაც ვმოძრაობთ,” - წერდა ავგუსტ შლეგელი.

თუ გსურთ, მეტი გაიგოთ რომანტიზმის არსის შესახებ, ყურადღებით წაიკითხეთ ფრაგმენტი კახა კაციტაძისა და კახა ჯამბურიას სტატიიდან „ქართული რომანტიზმის ისტორიულ-კულტურული კონტექსტი“.

[საკითხავი მასალა - ბარათაშვილი\კახა კაციტაძე, კახა ჯამბურია]

რომანტიზმის მახასიათებლები

გრძნობადი და ზეგრძნობადი... „მიწიერი“ და „ციური“ სამყაროების პრინციპული დაპირისპირება:

ამ აზრით, რომანტიზმი შუასაუკუნეობრივი მსოფლგანცდის თავისებური აღორძინებაა, რომელიც ახალი დროის რენესანსულ-განმანათლებლური სულისკვეთების წინააღმდეგაა მიმართული.

- ადამიანური „მეს“ აქტიური ხასიათის წამოწევა წინა პლანზე:

რომანტიზმის მიხედვით, ის, რასაც ჩვენ მოვლენათა სამყაროს ვუწოდებთ მიღმური, ზეგრძნობადი სამყაროს ზემოქმედებისა და ადამიანის „მე“-ს აქტივობის ურთიერთგამსჭვალვის შედეგად ჩნდება. ადამიანს რაღაც შეაქვს „სამყაროში“, რაღაცნაირად აგებს მოვლენათა სინამდვილეს, იგი მოვლენათა სამყაროს შექმნის თანამოზიარეა და ამ აზრით დემიურგულ ხასიათს ატარებს. სამყაროს ამგვარ თანაშექმნას გერმანულ იდეალიზმში ტრანსცენდენტალური კონსტრუირება ეწოდება.

„ციურის“ წვდომასთან“ დაკავშირებული რომანტიკული დრამატიზმი

შუასაუკუნებრივი მსოფლგანცდისათვის დამახასიათებელი არ არის „ციურის“ წვდომასთან დაკავშირებული რომანტიკული დრამატიზმი. ასეთი დრამატიზმი შუა საუკუნეებში საერთოდ გაუგებარი იქნებოდა, მაგრამ სავსებით გასაგებია XVIII საუკუნის დასასრულისა და მე-19 საუკუნის დასაწყისის ევროპაში, როდესაც განმანათლებლობამ საფუძვლიანად შეარყია რელიგიური რწმენა, თუმცა ეს უკანასკნელი ჯერ კიდევ ინარჩუნებს სიცოცხლისუნარიანობას.

თვითშემეცნების მოთხოვნილება

ადამიანი თავისი არსით მეტაფიზიკური, ე. ი. მოვლენათა სამყაროს მიღმა მსწრაფველი არსებაა. მაგრამ როგორ შეუძლია გრძნობად სამყაროში მცხოვრებ ადამიანს ზეგრძნობადი სინამდვილისაკენ ლტოლვა? რომანტიკოსების პასუხი ამ კითხვაზე ერთმნიშვნელოვანია – საკუთარ თავში, საკუთარ სუბიექტურობაში ჩაღრმავების გზით. გრძნობადისა და ზეგრძნობადის, „ცისა“ და „მიწის“ რადიკალური დაპირისპირების ვითარებაში, ჩვენი „მიწიერი“ ყოფნის პირობებში „ციური“ ადამიანურ „მე“-ში ჩაღრმავებით მიიღწევა. „...ჩვენ სამყაროში მოგზაურობაზე ვოცნებობთ: მაგრამ განა სამყარო ჩვენ შიგნით არაა? ჩვენ არ ვუწყით ჩვენი სულის სიღრმე. სწორედ იქ მივყავართ იდუმალ გზას. მარადიულობა თავისი სამყაროებით, წარსულით და მომავლით, ჩვენ შიგნითაა მოთავსებული, ან არსად“, - წერდა ნოვალისი.

თვითწარმატება - თვითშემეცნების ეტაპები:

- ბუნების და „მე“-ს არსებობის დადგენა;
- მზერის მობრუნება გარეგნულიდან შინაგანისაკენ;
- საკუთარ თავში მიმდინარე სულიერ პროცესებზე, აზრებსა და განცდებზე დაკვირვება;
- საკუთარი თავის გაგება და სულიერი ჰარმონიის მიღწევა.

ადამიანის რომანტიკული გაგება პიროვნების სუბიექტურობის ანალიზის საფუძველზე

ასეთი გაგება აქცენტირებას ახდენს ადამიანის სასრულობაზე. რომანტიკოსები ამ საკითხშიც კანტს ემყარებიან:კანტმა ფილოსოფიას დაუსახა პასუხი გაეცა სამ კითხვაზე:

1.რა შემიძლია ვიცოდე?

2. რა შემიძლია გავაკეთო?

3. რისი იმედი შემიძლია ვიქონიო?

ამ სამ კითხვაზე პასუხის გაცემა მხოლოდ მაშინ შეგვეძლება, თუ გვეცოდინება, ვინ არის ის, ვინც იმეცნებს, მოქმედებს და იმედოვნებს, ე. ი. თუ გვეცოდინება, ვინ არის ადამიანი.

მიღმურთან ზიარების შესაძლებლობის რწმენის მოშლა

ადამიანის სასრულობაზე აქცენტირება შუა საუკუნეებშიც გვხვდება. მაგრამ ამ ეპოქაში ეჭვქვეშ არ დამდგარა იმის შესაძლებლობა, რომ ადამიანს შეუძლია უსასრულოს ეზიაროს. პრობლემა მხოლოდ საჭირო საშუალებათა გამონახვაში მდგომარეობდა. რომანტიკული მსოფლგანცდის საფუძველი სწორედ მიღმურთან ამ ზიარების შესაძლებლობის რწმენის მოშლაა.

ადამიანი - უსასრულობისაკენ მლტოლველი არსება - სწრაფვა იდეალისაკენ, ამაღლებულისაკენ

ადამიანის სასრულობა სრულებითაც არ ნიშნავს იმას, თითქოს ადამიანი თავის თავში ჩაკეტილი არსება იყოს, პირიქით, რომანტიკოსების აზრით, ადამიანი, უპირველეს ყოვლისა, მლტოლველი და, ამასთან, უსასრულობისაკენ მლტოლველი არსებაა. ადამიანი, პირველ რიგში, მიღმურს, უსასრულოს, `ციურს~, ზეგრძნობადს უნდა ესწრაფვოდეს... „ლტოლვა უსასრულოსადმი - ამაზე მაღალი ადამიანში არაფერია!“- წერდა ფრ. შლეგელი.

სწრაფვა (ძველი ქართული ტერმინოლოგიით - „ტრფიალი“) არსებულის უმთავრეს პრინციპად იყო გაგებული ნეოპლატონიზმშიც, რომელმაც უდიდესი გავლენა მოახდინა შუა საუკუნეების ქართულ კულტურაზე.

ბუნების რომანტიკული გაგება

აბსოლუტი ვლინდება ყოველ საგანში

"რომანტიული" ბევრგან შეგვიძლია მოვიძიოთ, იგი ყველგან არის. თუნდაც დღევანდელი ეკოლოგიური მოძრაობა სწორედ რომანტიზმიდან იღებს სათავეს იმიტომ, რომ ბუნების ეს ხედვა, რომელიც, სხვათა შორის, გერმანულ და ქართულ რომანტიზმში თანხვდება ერთმანეთს, ანუ ბუნება, განიხილება როგორც ფრაგმენტი, ღვთაებრიობის გამოვლინება ემპირიულ სინამდვილეში, რომანტიულია. მისი ძირები სწორედ იქ არის საგულვებელი, ანუ გერმანულ რომანტიზმში, იმდენად, რამდენადაც, სწორედ გერმანულმა რომანტიზმმა შეიმუშავა ბუნების ეს გაგება, როგორც შესაქმისეული ფენომენისა.“ (კოკა ბრეგაძე)

რომანტიზმის ფილოსოფიური წანამძღვრები

რომანტიზმის წარმოშობა

ფრიდრიხ შლეგელი 1801 წელს,
ფრანც გარეის პორტრეტი
რომანტიზმის ესთეტიკის ფუძემდებელი და
თეორეტიკოსი.
მისი ძირითადი ნაშრომია „საუბარი პოეზიაზე“
(1800 წ).
შლეგელი ავითარებდა უნივერსალური
„ქრისტიანული ფილოსოფიის” იდეას,
აკრიტიკებდა სხვადასხვა ტრადიციულ
და თანამედროვე ფილოსოფიურ სისტემებს,
განსაკუთრებით კი — გერმანულ კლასიკურ
იდეალიზმს. მიაჩნდა, რომ ქრისტიანულ
„სპირიტუალიზმზე“ დაფუძნებული
ნამდვილი „სიცოცხლის ფილოსოფიის“
წინამძღვარია ადამიანის ცნობიერების
შინაგანი მთლიანობის აღდგენა,
მისი ყველა სულიერი უნარის
(გონება, ფანტაზია, ნებელობა) გაერთიანება.

რომანტიზმის წარმოშობა

ავგუსტ ვილჰელმ შლეგელი

რომანტიზმის იდეები პირველად სისტემურად გადმოსცა ბერლინში წაკითხული ლექციების კურსში ლიტერატურისა და ხელოვნების შესახებ (1801-1804

რომანტიზმის წარმოშობა

გეორგ ფილიპ ფრიდრიხ ფრეიერ ფონ ჰანდერბერგი,
ცნობილია ფსევდონიმით **ნოვალისი,**
გერმანელი რომანტიკოსი პოეტი, მწერალი, მისტიკოსი და ფილოსოფოსი.
რომანი „ღამის ჰიმნები“

„ლანდშაფტი უნდა შევიგრძნოთ როგორც სხეული. ლანდშაფტი არის იდეალური სხეული თავისუფალი სულისთვის“.

"გავიხსენოთ რომანტიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი და თეორეტიკოსი, ფრიდრიჰ ფონ ჰარდენბერგი, რომელიც ცნობილია ნოვალისის სახელით... სწორედ მან შემოიტანა სააზროვნო სივრცეში ნეოლოგიზმი „გარომანტიულება“, „გარომანტიულების“ თეზისი, პოსტულატი. საერთოდ, რომანტიზმი, ჩემი აზრით, სწორედ ამ კონტექსტში უნდა იქნეს გააზრებული, ანუ „გარომანტიულების“ თეზისის კონტექსტში. რა არის ეს „გარომანტიულება“ ნოვალისის მიხედვით? ეს არის სამყაროს ისეთი ხედვის შემუშავება, როდესაც ადამიანი, თავისი შინაგანი შემეცნებითი ძალმოსილებიდან გამომდინარე, იწყებს გარღვევას, ე.წ. ტრანსცენდირებას. თავისი თავის და სამყაროს გადალახვის პროცესი გულისხმობს ემპირიული სინამდვილის დაძლევას, საკუთარი ემპირიული სუბიექტურობის დაძლევას და უფრო მაღალი თვალსაზრისის მოპოვებას საკუთარ თავზე და სამყაროზე.„ (კონსტანტინე ბრეგაძე)

რომანტიზმის წარმოშობა

ვილჰელმ ჰენრიხ ვაკენროდერი (1773-1798)
„შეიძლება ითქვას, რომ ღმერთისთვის
ბუნება და მთელი სამყარო არის ის,
 რაც ჩვენთვის ხელოვნების ნაწარმოებია”.
„ბუნება ჩემთვის ყოველთვის იყო ყველაზე
 ღრმააზროვანი და ამავე დროს იოლად აღსაქმელი
 წიგნი ღმერთის არსების და თვისებების შესახებ.
 ტყით დაფარული მწვერვალების ჩურჩული,
ჭექა-ქუხილის გრგვინვა მიმხელდნენ მის
 საიდუმლოებებს. კლდეებს შორის განფენილი
მშვენიერი დაბლობი, პატარა მდინარე, რომელიც
 მისკენ გადმოხრილ ხეებს ირეკლავს, მხიარული
 მწვანე მდელო - ყოველივე ეს ჩემი სულის სიღრმეში
 აღვიძებდა გრძნეულ ლტოლვას, აღავსებდა ჩემს
სულს ღვთის ყოვლისშემძლეობით და მადლით,
 განწმენდდა და ამაღლებდა ჩემს სულს უფრო მეტად,
ვიდრე ამას ოდესმე შეძლებდა ჩვეულებრივი
ადამიანური ენის სიტყვები“.

რომანტიზმის წარმოშობა

ფრიდრიხ ვილჰელმ იოზეფ შელინგი (1775-1854) გერმანელი ფილოსოფოსი „იდეები ბუნების ფილოსოფიისთვის“;
„ბრუნო, ანუ საგანთა ბუნებრივი და
ღვთაებრივი პრინციპის შესახებ“ ;

„ის, რასაც ბუნებას ვუწოდებთ, მხოლოდ პოემაა, შებურვილი ჯადოსნური
 იდუმალი ნაწერის გარსით“.

რომანტიზმის წარმოშობა

იოჰან გოტლიბ ფიხტე (1762-1814)
გერმანელი ფილოსოფოსი
„მეცნიერებათა მოძღვრება“

„ადამიანობის არსი იმთავითვე გულისხმობს, რომ მისი უკანასკნელი
მიზანი მიუღწეველია,
ხოლო გზა მიზნისაკენ-
უსასრულო!“

ლიტერატურული პარალელებისა და რომანტიზმის არსის უკეთ გააზრებისათვის წაიკითხეთ უცხოელ რომანტიკოსთა ლექსები.

უცხოელ რომანტიკოსთა ლექსები

რომანტიზმი ფერწერაში

რომანტიზმის ერთ–ერთი წარმომადგენელია კასპარ დავიდ ფრიდრიხი, გერმანელი რომანტიკოსი მხატვარი (1774-1840), რომელიც გერმანიაში დაუახლოვდა რომანტიკოსების წრეს. მისი ნამუშევრების მთავარი თემაა მისტიკური ატმოსფეროები, საიდუმლოდ ჩუმი პეიზაჟები, უკიდეგანოდ გაშლილი სივრცეები, რომელთან შედარებითაც მარტოსული ადამიანი მინიატურული არსებაა; მის თითქმის ყველა ნამუშევარში ადამიანი შებრუნებულია სახით ბუნებისკენ, მისი ერთადერთი მეგობრისა და მანუგეშებელი ძალისკენ, ხოლო მნახველს ზურგს აქცევს. კასპარ დავიდ ფრიდრიხის შემოქმედება ძალიან სევდიანი და ტრაგიკულია, ჟღერადი ფერების ძალა შერბილებულია ბურუსითა და ნისლით.

(ნახატი იხ. შემდეგ სლაიდზე)



,,Wanderer above the Sea of Fog"

ადამი და ევა გაძევების შემდეგ ედვარდ იაკობ ვონ შტეინლი (Eduard Jakob Von Steinle – 1810-1886). იყო ,,წმინდა ლუკას კავშირის” წევრი, ისტორიული ჟანრის მხატვარი.

ეჟენ დელაკრუა, ფრანგი ფერმწერი და გრაფიკოსი -

მისოლონგის ნანგრევებზე მომაკვდავი საბერძნეთი

ეჟენ დელაკრუა , თავისუფლება - ხალხის წინამძღოლი

შვეიცარიელი არნოლდ ბიოკლინი რომანტიზმის კიდევ ერთი წარმომადგენელია, რომელიც თავის სურათებში ქმნიდა მოგონილ სამყაროს, ხშირად მიზანდასახულად იდუმალს. თავიდან მის შემოქმედებაში ჭარბობდა მითოლოგიური სიუჟეტები, მოგვიანო ხანის კომპოზიციებში კი გამოგონილ სიმბოლიკას რეალური დეტალები დაურთო. ცნობილია, რომ მის გავლენას განიცდიდნენ სურეალისტი მხატვრები და რახმანინოვიც კი.

ავტოპორტრეტი

უილიამ ბლეიკი ანგელოზის გამოცხადება ზაქარიას წინაშე

ძალიან თვითმყოფადი და საინტერესოა ინგლისური რომანტიზმი, რომელიც “ტბის სკოლის” პოეტების სახელთან, იგივე ” ლეიკისტებთან” არის დაკავშირებული. ისინი გაიქცნენ ქალაქებიდან და ტბებთან ახლოს დასახლდნენ. მათი პოეზიის მთავარი შტრიხებია ბუნებასთან სიახლოვე, ფანტასტიკური ჟანრის სიუჟეტები და ინტერესი უბრალო ადამიანის ცხოვრებისადმი. რაც შეეხება ფერმწერებს, მათგან ერთ–ერთი გამორჩეული რომანტიკოსი მხატვარია **უილიამ ბლეიკი,** რომელიც პოეტი და ფილოსოფოსიც იყო. როგორც თვითნასწავლი მხატვარი, ხშირად მიმართავდა არქაულ ნიშნებს, რომლებიც შერწყმულია მის შემოქმედებით ფანტაზიასთან. მან გააფორმა ძველი და ახალი აღთქმა, შექსპირი, დანტე და სხვ.

რომანტიზმი მუსიკაში

რომანტიკოს მუსიკოსებად ცნობილი არიან:

- ფრანც შუბერტი (ავსტრია); https://www.youtube.com/watch?v=2H5rusicEnc
- რობერტ შუმანი (გერმანია); https://www.youtube.com/watch?v=AV62YKJGOV0
- ფერენც ლისტი (უნგრეთი); https://www.youtube.com/watch?v=KpOtuoHL45Y
- ფრედერიკ შოპენი (პოლონეთი); https://www.youtube.com/watch?v=_hyAOYMUVDs
- კარლ ვებერი (გერმანია); https://www.youtube.com/watch?v=mRXL3gJdAHY
- ჯუზეპე ვერდი (იტალია); https://www.youtube.com/watch?v=IY8k9FsGQpA
- რიჰარდ ვაგნერი (გერმანია); https://www.youtube.com/watch?v=GGU1P6lBW6Q
- ფელიქს მენდელსონი (გერმანია); https://www.youtube.com/watch?v=vzbC39utkTw
- პეტრე ჩაიკოვსკი (რუსეთი). https://www.youtube.com/watch?v=4Eic22IrXfM

შეგიძლიათ მითითებულ მისამართებზე მოისმინოთ და მოსწავლეებსაც მოასმენინოთ ამ კომპოზიტორთა ნაწარმოებები.

ქართული რომანტიზმის ისტორიულ-პოლიტიკური წანამძღვრები



პავლე I-ის მანიფესტი

ამ პოეტთა (რომანტიკოსთა)თაობის აზროვნებაზე ორმა დიდმა ისტორიულმა თარიღმა მოახდინა გადამწყვეტი გავლენა: 1801 წელმა, როცა რუსეთის იმპერატორის მანიფესტით საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობას ბოლო მოეღო, და 1832 წელმა, როცა ქართველი პატრიოტული თავადაზნაურობის და ინტელიგენციის 1832 შეთქმულება გამომჟღავნდა და დამარცხდა.

გერონტი ქიქოძე

ქართული რომანტიზმის ფილოსოფიური წანამძღვრები

არ შეიძლება იმაზე საუბარი, რომ ბარათაშვილი დაწვრილებით იცნობდა რომანტიკოსების ესთეტიკურ თეორიას, თუმცა, სოლომონ დოდაშვილის წყალობით, მას გარკვეული წარმოდგენა ჰქონდა რომანტიზმის თეორიული საფუძვლების შესახებ. ყოველ შემთხვევაში, აშკარაა, რომ ბუნების ის აღქმა და გააზრება, რომელიც გამოხატულია ლექსებში „ჩინარი“ და „შემოღამება მთაწმინდაზე“, ზედმიწევნით თანხვდება ბუნების რომანტიკულ კონცეფციას, მის პირველწყაროს - შელინგის ნატურფილოსოფიას. (თამაზ ვასაძე)



„ნ. ბარათაშვილის პოეზიასა და წერილებში, მთელ იმდროინდელ მწერლობასა და ფილოსოფიურ თხზულებებში ძალზე გავრცელებულია
სულზე ფიქრი. ნიშანდობლივია, რომ ქართულ აზროვნებაში სწორედ ამ დროს გააქტუალურდა ეს ცნება, თუმცაღა რაიმე უშუალო კონტაქტები გერმანულ ფილოსოფიასთან არა ჩანს. საერთოდ, ქართული რომანტიზმის ესთეტიკა გერმანულ რომანტიზმთან მეტ სიახლოვეს ამჟღავნებს, მიუხედავად იმისა, რომ თითქოს ფრანგულ მწერლობასთან უფრო მეტი სიახლოვე უნდა ჰქონოდა“.
(რევაზ სირაძე)

რომანტიზმი, ჰეგელის მარჯვე გამოთქმით, შეიძლება დავახასიათოთ როგორც „უბედური ცნობიერება“, ანუ ის ცნობიერება, რომელსაც თავისი არსებობის მიზანი უსასრულობაში, გრძნობადი სამყაროს მიღმა ეგულვის და უწყის მისი მიუღწევლობა, მაგრამ, მეორე მხრივ, არ შეუძლია ამ მიუღწეველ მიზანს არ ესწრაფოს.

შეკითხვა განსჯისათვის: ნიკოლოზ ბართაშვილის რომელ ლექსს და /ან წერილს მიუსადაგებდით ამ თეზისს?

რომანტიზმისათვის დამახასიათებელია ადამიანური „მე“-ს აქტიური ხასიათის წინა პლანზე წამოწევა. რომანტიზმის მიხედვით, ის, რასაც ჩვენ მოვლენათა სამყაროს ვუწოდებთ მიღმური, ზეგრძნობადი სამყაროს ზემოქმედებისა და ადამიანის „მე“-ს აქტივობის ურთიერთგამსჭვალვის შედეგად ჩნდება. ადამიანს რაღაც შეაქვს „სამყაროში“, რაღაცნაირად აგებს მოვლენათა სინამდვილეს, იგი მოვლენათა სამყაროს შექმნის თანამოზიარეა და ამ აზრით დემიურგულ ხასიათს ატარებს. სამყაროს ამგვარ თანაშექმნას გერმანულ იდეალიზმში ტრანსცენდენტალური კონსტრუირება ეწოდება.

შეკითხვა განსჯისათვის: როგორ ირეკლება ეს პოსტულატი ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსებსა თუ წერილებში?

როგორ შეუძლია გრძნობად სამყაროში მცხოვრებ ადამიანს ზეგრძნობადი სინამდვილისაკენ ლტოლვა? რომანტიკოსების პასუხი ამ კითხვაზე
ერთმნიშვნელოვანია - საკუთარ თავში, საკუთარ სუბიექტურობაში ჩაღრმავების გზით.
თვითშემეცნების მოთხოვნას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სოლომონ დოდაშვილის ნააზრევშიც: „ფილოსოფია რომ ვისწავლოთ, საჭიროა ფილოსოფოსობა, ფილოსოფოსობა კი ნიშნავს ყურადღება მივაპყროთ ჩვენს თავს, ჩავწვდეთ ჩვენს თავს, რათა გამოვიცნოთ და
გავიგოთ თვით ჩვენი თავი და ამით ჩვენში და ჩვენ ირგვლივ სიმშვიდე დავამყაროთ.“

შეკითხვა განსჯისათვის: როგორ აირეკლა თვითშემეცნებისკენ სწრაფვა ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებაში?

ჩვენ, უპირველეს ყოვლისა, გვინდა გამოვყოთ თვითჩაღრმავება-თვითშემეცნების ის ეტაპები, რომლებიც ს. დოდაშვილთან გვაქვს, კერძოდ: ბუნების და „მე“-ს არსებობის დადგენა, მზერის მობრუნება გარეგნულიდან შინაგანისაკენ, საკუთარ თავში მიმდინარე სულიერ პროცესებზე, აზრებსა და განცდებზე დაკვირვება, საკუთარი თავის გაგება და სულიერი ჰარმონიის მიღწევა.

შეკითხვა განსჯისათვის: ნიკოლოზ ბარათაშვილის რომელ ლექსს მოიყვანდით მაგალითად, რომელშიც მსგავსი რამ ირეკლება?

თვითშემეცნების შემდეგ ეტაპზე, ს. დოდაშვილის მიხედვით, ჩვენს აზრებსა და განცდებზე დაკვირვებით მიღებულ შთაბეჭდილებათა საფუძველზე უნდა ჩავწვდეთ საკუთარ თავს, ე. ი. გავიგოთ ადამიანური ბუნების კანონები, საზღვრები და მიზნები. ამრიგად, თუ თვითჩაღრმავების წინა ეტაპზე აღიწერებოდა და დგინდებოდა, თუ რა სახის სულიერი განცდები არსებობს, ამ ეტაპზე დგინდება ამ განცდების საფუძველი.

შეკითხვა განსჯისათვის: ნიკოლოზ ბარათაშვილის რომელ სიტყვებს მიუსადაგებდით ამ აზრს?

დაბოლოს, ქართველი ფილოსოფოსის აზრით, თვითჩაღრმავების უკანასკნელ ეტაპზე მიიღწევა ამგვარი რეფლექსიის უმთავრესი მიზანი - სულიერი სიმშვიდე და ჰარმონია. ს. დოდაშვილის მტკიცებით, ჰარმონია არის ადამიანის ბუნებრივი სწრაფვის მიზანი, რომელიც გულისხმობს არა მარტო ჩვენს აზრებს შორის არსებულ „თანხმოვანებას“, არამედ ჩვენი ქცევის წარმართვასაც ადამიანის დანიშნულების მიხედვით, ე. ი. ჩვენი ქცევის ჰარმონიულობაში მოყვანას ადამიანის რაობასთან.

შეკითხვა განსჯისათვის: ნიკოლოზ ბარათაშვილის რომელ სიტყვებს მოიყვანდთ ამ მოსაზრების დასტურად?

შუა საუკუნეებში თვალხილულ სინამდვილეში გაბატონებული წარმავლობა არ შეიძლებოდა სასოწარკვეთის მიზეზად ქცეულიყო, ვინაიდან ძალაში რჩებოდა წარმავლობაზე ამაღლებულის რწმენაც. მხოლოდ ამ რწმენის მოშლის შემდეგ გახდა შესაძლებელი ის შემაძრწუნებელი შთაბეჭდილება, რასაც წუთისოფლობა და წარმავლობა ახდენს ადამიანზე.
ადამიანისა და, საერთოდ, ყოველივე ამქვეყნიურის წარმავლობით გამოწვეული წუხილი აღბეჭდილია...

6. ბარათაშვილის რომელ ქმნილებებში? დაასრულეთ აზრი.

ადამიანის სასრულობა სრულებითაც არ ნიშნავს იმას, თითქოს ადამიანი თავის თავში ჩაკეტილი არსება იყოს, პირიქით, რომანტიკოსების აზრით, ადამიანი, უპირველეს ყოვლისა, მლტოლველი და, ამასთან, უსასრულობისაკენ მლტოლველი არსებაა. უფრო მეტიც, ადამიანის სასრულობის კანტისეული გაგებიდან აუცილებლობით გამომდინარეობს ადამიანის, როგორც უსასრულობისაკენ მსწრაფველი არსების გაგება.
ადამიანი რაღაც განსაკუთრებულ, მიღმურ და ზეგრძნობად სინამდვილეს რომ ესწრაფვის, ნათლად ჩანს...

ბარათაშვილის რომელ სტრიქონებში?

რომანტიზმისათვის ყოველივე ხილული არის აბსოლუტი, ე. ი. მიღმური სამყაროს მოვლინება. ამ აზრით, ყოველი არსებული ალეგორიული ხასიათისაა...
სიმბოლურის გააზრების ერთ-ერთ საშუალებას რომანტიზმში „ტაძრის“ არქეტიპი წარმოადგენს. „ტაძარი“ რომანტიზმში მარტოოდენ ღვთისმსახურებისთვის გამოყოფილ შენობას კი არ აღნიშნავს, არამედ საერთოდ ნებისმიერ ნივთიერ ყოფიერებას, რომელიც თავის თავში
მიღმურისა და მიწიერის საკრალურ მთლიანობას ატარებს...
ანალოგიურად შეგვიძლია განვიხილოთ „მთაწმინდა“-ს პოეტური სახე, რომელიც, როგორც თ. ვასაძემ აჩვენა, ციურისა და მიწიერის საკრალური შეხვედრის ადგილია.

შეკითხვა განსჯისათვის: ბარათაშვილის რომელი ლექსები გაგახსენათ ამ მოსაზრებებმა?

ქართველი პოეტის სიმბოლიზმის რომანტიკულ ხასიათზე მიგვანიშნებს მისი შემოქმედების ერთ-ერთი უმთავრესი არქეტიპი - “ცის“ მოტივი. „ცა“ თავისი არსით არა მარტო ალეგორიულია (ე. ი. მიანიშნებს მიწის მიღმა მდებარე სინამდვილეზე), არამედ უაღრესად სიმბოლურიც... ჩვენი აზრით, ასეთ გაგებას მხოლოდ მიღმურისა და მიწიერის რომანტიკული დაპირისპირების ფარგლებში შეიძლება ჰქონდეს ადგილი.

შეკითხვა განსჯისათვის: ნიკოლოზ ბარათაშვილის რომელ ლექსებს გაიხსენებდით ამ მოსაზრების ნათელსაყოფად?

დოდაშვილისათვის მშვენიერება შინაგანის, ე. ი. სულიერის თვალსაჩინო სახით მოვლინებაა, ამასთან, არსებითი სწორედაც რომ შინაგანია. ერთ
ადრეულ ლექსში, რომელიც, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ იმ პერიოდშია შექმნილი, როდესაც ს. დოდაშვილი უშუალოდ ასწავლიდა ბარათაშვილს, ვკითხულობთ:
„შვენიერება გარეგანი არს მართლად
უშინაგანოდ ფუჭი ყოველგან მარად.“

შეკითხვა განსჯისათვის: ნიკოლოზ ბარათაშვილის რომელ ლექსში ირეკლება ეს შეხედულება?

რა დასკვნის გაკეთება
შეიძლება ყოველივე
ზემოთ თქმულიდან?

ქართული რომანტიზმის ესთეტიკურ-ლიტერატურული წანამძღვრები

- ბიბლია;
- ქართული სასულიერო მწერლობა;
- „ვეფხისტყაოსანი“.

წარმოიდგინეთ, რომ მოსწავლემ, რომელმაც წაიკითხა ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსი „საფლავი მეფე ირაკლისა“, დაგისვათ შეკითხვა: ამ ლექსში ხომ აშკარად ჩანს პოეტის დამოკიდებულება ერეკლე მეფის გადაწყვეტილების მიმართ. მაშ რატომ არის სადავო, ვის მხარესაა პოეტი პოემაში „ბედი ქართლისა“?

როგორ უპასუხებდით მოსწავლის შეკითხვას?

პავლე ინგოროყვას შეხედულებები პოემაზე „ბედი ქართლისა“

ლექსი „საფლავი მეფის ირაკლისა“ სრულიადაც არ ნიშნავს ნ. ბარათაშვილის მიერ რაიმე შერიგებას იმ მდგომარეობასთან, რომელიც საქართველოს შეუქმნა ცარისტულმა თვითმპყრობელობამ. ბარათაშვილისათვის უცხოა კომპრომისი.

პოეტის დიდი სულიერი ტრაგედიის სათავე სწორედ ის არის, რომ იგი არაა დამშვიდებული თავისი ქვეყნის ბედის გამო; პოეტი ვერ ურიგდება ბოლომდე ირაკლი მეფის ანდერძნამაგს, რამდენადაც ამას შედეგად მოჰყვა საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის მოსპობა და დამონება.

ერეკლეს გულმა „გარდაწყვიტა ბედი ქართლისა“. ეს არ არის სულმოკლეობის ნაყოფი. ეს არის გმირის ტრაგიკული გადაწყვეტილება.

ერეკლე გრძნობს, რომ საქართველოს „უბედობისა და დარღვევის“ დროს არ არის სხვა გამოსავალი, თუ არა მფარველობა ჩრდილოეთის დიდი მეზობლისა. ეს არის ნაკლები ბოროტება, ვიდრე ის სავალალო ბედი, რომელიც მოელის ქვეყანას, თუკი საქართველო მომავალშიაც იმავე საბედისწერო განმარტოებაში დარჩება, ბარბაროსი მეზობლებით გარშემორტყმული.

„სულით ღელვილი“ სოლომონ, ეს შეუხრელი გმირი, არ ეთანხმება მეფის რჩევას. სოლომონ აღიარებს, რომ თავისუფლება არის ისეთი ნიჭი, რომლის სანაცვლო არაფერია ამქვეყნად. ყველაფრის მსხვერპლად მიტანა შეიძლება, მაგრამ თავისუფლებისა კი არა.

ვინ იყო მართალი ამ ტრაგიკულ პაექრობაში?

პოეტი გრძნობს ორკერძ სიმართლეს ორივე გმირისას. მაგრამ თუ პოეტის გონება გაორებულია ამ ტრაგიკული დილემის წინაშე, პოეტის გული, ანთებული თავისუფლების სიყვარულით, იმის მხარეზეა, ვინც თავისუფლების დაკარგვას ვერასდროს ვერ შეურიგდება. გადაწყვეტილება.

ქართლის დედა სოფიო, ეს დიადი სახე ახალი ქართული პოეზიისა, შთააგონებს ნიკოლოზ ბარათაშვილის დიდ მემკვიდრეს ილიას დრამატულ პოემას „ქართვლის დედა“, რომელიც ასევე შეიცავს ჰიმნს, მიმართულს თავისუფლებისადმი: „თავისუფლებავ, შენ ხარ კაცთა ნავთსაყუდარი!“

„ჰოი, დედანო, მარად ნეტარნო, კურთხევა თქვენდა, ტკბილსახსოვარნო“, – პოეტი ქებას შეასხამს მათ, რომელთაც თავისი მაღალი სულით, შრომითა და თავდადებით დაიცვეს წარსულში მამული. პოეტი ამავე დროს ეხება თავის თანამედროვეთა იმ ნაწილსაც, რომელთაც უცხოეთის ქარმა „გარდაუცვალა გული ცხოველი“, დაივიწყეს მამული...

აქაც ნიკოლოზ ბარათაშვილს ეხმაურება მისი დიდი მემკვიდრე ილია თავის მეორე ლექსში იმავე სახელწოდებით „ქართვლის დედას“ („ქართვლის დედაო! ძუძუ ქართვლისა უწინ მამულსა უზრდიდა შვილსა...“). ბარათაშვილის მონოლოგში და ილიას ლექსში ჩვენ გვაქვს ერთი და იგივე მაგისტრალი..

რომანტიკოსი ბარათაშვილი „ბედი ქართლისაში“ თავისი მხატვრული მანერით გვევლინება როგორც რეალიზმის წინამორბედი ახალ ქართულ მწერლობაში. ბარათაშვილმა მოგვცა თავის პოემაში ის თავისებური შერწყმა რომანტიზმისა რეალიზმთან, რომელიც ახასიათებს მე-19 საუკუნის ქართული პოეზიის საუკეთესო ძეგლებს, აძლევს ახალ ქართულ ლიტერატურას თავის ტონს, თავის სახეს.

მადლობა
ყურადღებისათვის!